თანამედროვე განათლების აკადემიის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროგრამები

შპს თანამედროვე განათლების აკადემიაში ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები. აღნიშნულ პროგრამებზე სააღმზრდელო - საგანმანათლებლო პროცესები მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

სკოლამდელი აღზრდის პროგრამაზე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მოიცავს სამ საფეხურს:

- პირველი ასაკობრივი ჯგუფი - 3-დან 4 წლამდე ასაკის ბავშვები;
- მეორე ასაკობრივი ჯგუფი - 4-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვები;
- მესამე ასაკობრივი ჯგუფი - 5-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები.

აკადემიის **სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა ითვალისწინებს სოციალიზაციის კურიკულუმის ძირითად პრინციპებს და დაფუძნებულია რეჯიო ემილიას საგანმანათლებლო ფილოსოფიაზე.** ეს არის კურიკულუმი, რომელიც ბავშვს ხედავს, როგორც საგანმანათლებლო პროცესის წინამძღოლს, როგორც ცნობისმოყვარე პიროვნებას, რომელსაც აქვს ძალა და პოტენციალი, განვითარდეს და ისწავლოს თავისი გარემოდან და სხვებთან ურთიერთობით.

აკადემიის სკოლამდელი აღზრდის პროგრამით **სწავლა-სწავლება ინტეგრირებული და ფოკუსირებულია ჰოლისტურ მიდგომაზე.** ბავშვი განსაზღვრულ დროსა და სივრცეში კი არ სწავლობს და ივითარებს რომელიმე უნარს, არამედ, ნებისმიერი აქტივობისას სწავლობს და ვითარდება.

პროგრამაზე დანერგილი თემატური სწავლების ფარგლებში აქტივობები დაგეგმილია შერჩეული თემის შესაბამისად.

აკადემიის **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სამ საფეხურს** და გულისხმობს თორმეტწლიან სწავლებას.

ა) დაწყებითი საფეხური - I-VI კლასები;

ბ) საბაზო საფეხური - VII-IX კლასები;

გ) საშუალო საფეხური - X-XII კლასები.

აკადემია სასკოლო საფეხურზე ხელმძღვანელობს **ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ქართული პროგრამით. პროგრამის მიზანია, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფასთან ერთად, განხორციელდეს აკადემიის ხედვით, მისიითა და სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები, რომლებიც უკავშირდება მოსწავლეებში დემოკრატიული ღირებულებების განვითარებასა და მათ ჩამოყალიბებას აქტიურ, გლობალურ მოქალაქეებად.**

აკადემიის **2024-2025 სასწავლო წლის საათობრივი ბადით მაღალი საათობრივი დატვირთვა აქვს შემდეგ საგნებს: მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, პირველი უცხოური ენა (ინგლისური ენა).**

აღნიშნული საგნები აკადემიის პრიორიტეტია, როგორც საბაზისო საგნები, რომელთა შედეგებზე გასვლა ხელს შეუწყობს მოსწავლეს, მიაღწიოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და იყოს წარმატებული ყველა სხვა საგანში.

მეორე უცხოური ენა, როგორც სავალდებულო საგანი, ისწავლება მესამე კლასიდან, ხოლო მესამე უცხოური ენა, როგორც არასავალდებულო საგანი, ისწავლება მეშვიდე კლასიდან.

აკადემიაში მოსწავლეს აქვს **უცხოური ენების მრავალფეროვანი არჩევანი** - ისინი არჩევანს აკეთებენ ესპანურ, იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენებს შორის.

საგანი **"კომპიუტერული ტექნოლოგიები"** ისწავლება დაწყებით და საბაზო საფეხურებზე.

აკადემია საათობრივი ბადის ფარგლებში, მოსწავლეებს სთავაზობს **სავალდებულო და ფაკულტატურ საგნებს.** აღნიშნული მიდგომა შეესაბამება აკადემიის ფილოსოფიას, რომელშიც ხაზგასმულია სკოლის როლი მოსწავლეების თვითრეალიზებაში, მათში დემოკრატიული ღირებულებებისა და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების უნარების გამომუშავებაში.

სავალდებულო და არჩევითი საგნების კომბინაცია იძლევა საშუალებას, მოსწავლემ ისე აირჩიოს საგნები, რომ, ერთი მხრივ, მიიღოს ფუნდამენტური ზოგადი განათლება და, მეორე მხრივ, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, ისწავლოს კვლევითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული საგანი/საგნები საზოგადოებრივი ან საბუნებისმეტყველო ბლოკიდან და სპეციალური კურსი მათემატიკაში ან/და ისტორიაში.

აკადემია არსებული გამოწვევებისა და მოსწავლეებისა და მათი მშობლების უკუკავშირის გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების გარდა, მოსწავლეებს სთავაზობს რამდენიმე საგანს -

ა) მე-10 და მე-11 კლასებში **SAT**, რომელიც ამზადებს მოსწავლეებს სტანდარტული მისაღები გამოცდისთვის საერთაშორისო უნივერსიტეტებში. თუმცა, საგნის არსი მოიცავს კრიტიკული აზროვნების ნაწილს (ტექსტის ანალიზი და ლექსიკა) და მათემატიკას, რაც მნიშვნელოვანი იქნება ყველა მოსწავლისთვის და ხელს შეუწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.

ბ) მე-10 და მე-11 კლასებში **აკადემიური წერა,** რომელიც მოსწავლეს ასწავლის სხვადასხვა ტიპის ესეს სტრუქტურას, ანალიტიკურ და არგუმენტირებულ მსჯელობას და ხელს უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.

გ) მე-10 და მე-11 კლასებში **TOEFL,** რომელიც გარდა კონკრეტული საერთაშორისო გამოცდის ჩაბარებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისა, მოსწავლეებს ეხმარება ტექსტის გააზრების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარებისა და არგუმენტაციის უნარების გაძლიერებაში. ბუნებრივია ეს საგანიც ხელს უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.

დ) XI კლასში ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებსა და სამიზნე ცნებებზე სკოლა გადის საგნით **"კვლევითი პროექტები მეცნიერებაში",** რომლის შინაარსის და ფორმატი ისეა აგებული, რომ მოსწავლეები შეძლებენ თეორიული ცოდნის მიღებას და მის გამოყენებას ინტერდისციპლინურ კვლევით პროექტებში.

ე) X და XI კლასებში მოსწავლეები სწავლობენ საგანს **საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლა,** რომლის მიზანია სასკოლო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, მოსწავლეებმა შეძლონ საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური პროექტების ინიცირება, დაგეგმვა და განხორციელება.

აკადემიაში ზოგიერთ საგანში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს **საერთაშორისო კურიკულუმებში აღიარებული სახელმძღვანელოებით,** კერძოდ, ინგლისური ენა აკადემიაში ისწავლება National Geographic-ისა და Macmillan education -ის გამომცემლობების სახელმძღვანელოებით: Our World starter, Global Stage, Focus, Ready for C1 Advanced 4th Edition.

მათემატიკა აკადემიაში ისწავლება Macmillan Education-სა და Pearson-ის გამომცემლობების სახელმძღვანელოებით: Max მათემატიკა და Myp მათემატიკა.

აკადემიის მიერ შერჩეული სახელმძღვანელოების კომპლექტში წარმოდგენილი რესურსები იძლევა საშუალებას ერთი კურსის ფორმატში ჰქონდეს მოსწავლეს და მასწავლებელს თავმოყრილი ყველა საჭირო მატერიალური და ელექტრონული რესურსი. ამასთანავე, სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები სრულად ითვალისწინებს კონსტრუქტივიზმის და დიფერენცირებული მიდგომის პრინციპებს და უზრუნველყოფს მოსწავლის ჩართულობას სასწავლო პროცესში. სახელმძღვანელოები ადაპტირებულია ქართულ სკოლებში.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებს გათვალისწინებულ შედეგებზე გასვლაში, გარდა საგაკვეთილო საათებისა, ხელს უწყობს აკადემიაში არსებული **პროექტული სწავლება, შემეცნებითი, სახელოვნებო და სპორტული კლუბები.**

აკადემიაში მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია **კონსულტირება.** მას არ აქვს გაკვეთილის სახე. კონსულტირების მიზნებია: 1. მთელ კლასს გაეწიოს დამატებითი კონსულტირება საპროექტო და კომპლექსური ტიპის დავალებების შესრულების შუალედურ ეტაპზე-მიეწოდოს დამატებითი ინფორმაცია, გაეცეს მოსწავლეების შეკითხვებს პასუხი, მიეწოდოს მყისიერი უკუკავშირი და სხვ. 2. იმ მოსწავლეებს, რომლებსაც კონკრეტულს საგანში/საგნებში დაბალი მზაობა აქვთ, გაეწიოს დამატებითი დახმარება, ჩაერთონ რემედიაციულ აქტივობებში. კონსულტირებისთვის ყველა საგნის მასწავლებელი კვირაში ერთ დღე, მისთვის განსაზღვრულ დღესა და დროს, აკადემიაში რჩება საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, რათა მოსწავლეებს აღმოუჩინოს საჭირო დახმარება. აკადემიაში მოქმედებს ორი ტიპი კონსულტირება: 1. ინდივიდუალური კონსულტირება 2. საერთო საკლასო კონსულტირება. ინდივიდუალური კონსულტირების შემთხვევაში, მასწავლებელი საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალურად უტარებს მოსწავლეს კონსულტირებას, იმ საკითხების კარგად გასააზრებლად, რისი დაძლევაც მოსწავლეს გაუჭირდა. საერთო საკლასო კონსულტირების დროს, მასწავლებელი მოსწავლეებს დამატებით ეხმარება იმ შემთხვევაში თუ მას დაგეგმილი აქვს პროექტი, ან სხვა აქტივობა, რომელიც ეხება მთლიან კლასს. ამ შემთხვევაში, მასწავლებლის მთავარი მიზანია, გადაამოწმოს რა ეტაპზეა კლასი, რის გაკეთებაში სჭირდებათ დახმარება და მისცეს საჭირო მიმართულებები და რეკომენდაციები.

WE CHANGE THE WORLD